ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 27 23 ივლისი 2016 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი: 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ საპროექტო განაცხადის ფორმის და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი: 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის №18-51 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-69 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი: 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ საპროექტო განაცხადის ფორმა (დანართი 1) და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა (დანართი 2).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7) ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამსახურის უფროსი **მამუკა მუმლაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

საპროექტო განაცხადის ფორმა

1. ინფორმაცია პროექტის წარმდგენის შესახებ

1. **პროექტის წარმომდგენი ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა**

   ☐ საჯარო სამართლის იურიდიული პირი

   ☐ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

2. **ორგანიზაციის დასახელება** | **საიდენტიფიკაციო კოდი**

3. **ორგანიზაციის იურიდიული მისამართი** (ქალაქი / ქუჩა№ / საფოსტო ინდექსი)

4. **ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია**

ტელეფონი	ელ-ფოსტა	ვებ-გვერდი

5. **ორგანიზაციის საკონტაქტო პირი**

სახელი / გვარი	თანამდებობა

ტელეფონი	ელ-ფოსტა

6. **ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ** (ძირითადი საქმიანობის მოკლე აღწერა):

7. **განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში; საჭიროებისამებრ გაზარდეთ ველების რაოდენობა)**

პროექტის დასახელება	განხორციელების პერიოდი

2. ინფორმაცია პროექტის შესახებ

1.	პროექტის სახელწოდება	
2.	პროექტის მიზნები და ამოცანები *ინსტრუქცია - აღნიშნეთ თუ რისი მიღწევა გსურთ წარმოდგენილი პროექტით	
3.	პროექტის დასაბუთება *ინსტრუქცია - წარმოადგინეთ პროექტის მოკლე და მკაფიო აღწერილობა. დაასაბუთეთ თუ რატომ არის თქვენი პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი;	
4.	მიზნობრივი აუდიტორია *მიუთითეთ კონკრეტულად რა მიზნობრივ აუდიტორიაზეა გათვლილი პროექტი,სპეციალისტები,სფეროს წარმომადგენლები,სტუდენტები,ფართო საზოგადოება და ა.შ)	
5.	მოსალოდნელი შედეგი *ინსტრუქცია - მიუთითეთ რა შედეგს მიაღწევთ თქვენს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შედეგად;	

3. სამოქმედო გეგმა

*ინსტრუქცია- აღწერეთ პროექტის განსახორციელებლად შემუშავებული სამოქმედო გეგმა და ვადები; საჭიროებისამებრ გაზარდეთ ველების რაოდენობა.

	დაგეგმილი აქტივობა	დაგეგმილი აქტივობის აღწერა
1.		
2.		
3.		

4. ფინანსური გაანგარიშება/ხარჯთაღრიცხვა

*ინსტრუქცია- პროექტის ერთიანი ხარჯთაღრიცხვა დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად.

საჭიროებისამებრ გაზარდეთ ველების რაოდენობა.

	საქონელი და მომსახურება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	სულ
1.				
2.				
3.				
-				
-				
ჯამი:				

* *სამოქმედო გეგმის ბიუჯეტში თანხები მიეთითება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.*

ზემოხსენებული პროექტის წარდგენი ორგანიზაცია _____ ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ გამარჯვების შემთხვევაში მიღებულ ყოველგვარ ფინანსურ ან მატერიალურ დახმარებას გამოვიყენებ მიზნობრივად. მე თანახმა ვარ დავიცვა დადგენილი ანგარიშგების წესები. პროექტის განხორციელებაში დაშვებული დარღვევების შემთხვევაში, თანახმა ვარ მიღებული თანხა დავუბრუნო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს მისი გადაწყვეტილების შესაბამისად.

_____ _____

ხელმოწერა *თარიღი*

წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

1) საბანკო რეკვიზიტები:

2) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან:

3) გადასახადის გადამხდელის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):